№ 27. 10 ივლისს 1871 10 ივლისს № 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

ГАЗЕТИС ФАСИ

	Тфилисши да гареше адгилебши: Багзавнит	Гаугзавнелат:
ертиссс წლისა	— 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევარის წლისა	— 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— — — 2
ერთის თვისა	— 1 —	— — — „ — 75 კ.
ცალკე ერთის ნომრისა		— — — „ — 15 კ.

Редакціის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით —ასოზე 1/2 კაპ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში — „დროების“ редакціის კანტორაში, შელიქიშვილის და კომპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ამატუნის სახლში.

Тфилисის გარეშე მცხოვრებთათვის адресი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ქუთაისში — გ. კალანდარაშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლ. ლოლუასთან ბაგარინის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახ-

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, редакція შეამოკლებს, გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეექვსე.

შინაარსი

რა მოსპობს სიღარიბეს? — საქართველო: მეოთხე კრება იმერეთის სამღვდელოებისა, („დროების“ კორრესპონდენცია), — წიგნი редактორთან, — წვრილი ამბები. — რუსეთი: წვრილი ამბები. — უცხო ქვეყნები: საფრანგეთი, — გერმანია, — ინგლისი, — იტალია. — ტელეგრამმები. — ნარევი. — ბიბლიოგრაფიული განცხადებაები.

ფელტონი: ცხელ-ცხელი ამბები — აკ. წერეთლისა.

რა მოსპობს სიღარიბეს?

ჩვენს გაზეთში ძალიან ხშირათ წაიკითხავდა მკითხველი, რომ ამა და ამ მდიდარმა ღარიბებს ამდენი ფული დაურიგაო, ამა და ამ კეთილის-მყოფელმა უსახლ-კარო მუშებს სახლი აუშენაო, ზოგან ღარიბებისთვის უფასო შკოლებს მმართველნო, ზოგან იმათ უფასოთ პურს აჭმევენო და სხვ. ერთი ამისთანა შესანიშნავი მაგალითი სხვათა შორის დღევანდელ „დროებაშიაცაა“ მოყვანილი. რისთვის მოგვყავს ჩვენ გაზეთში ასე ხშირათ ამისთანა მაგალითები, რომელნიც მდიდრებისა და კეთილმოყვარე კაცების ღარიბებზე მზრუნველობას ამტკიცებენ? რისთვის ვაცნობებთ მკითხველს ჩვენ, მაგალითად, იმ ამბავს, რომ სადღაც ჰიევის გუბერნიაში დემიდოვის ცოლს ღარიბი მუშებისთვის თავშესაფარი სახლის აშენება მოუნდომებია, ანა და რომელიმე ინგლისელმა მილიონერმა რამდენიმე ათასი მანეთი უანდერძა თავის ფაბრიკის მუშებსაო?

ღმერთმა ნუ აფიქრებინოს მკითხველს, რომ, ეითომც ჩვენი აზრით, ამნაირი საშუალებებით, ამნაირ თითო-ოროლა გროშის მიგდებით რამდენიმე მილიონი უსახლ-კარო ღარიბების დახსნა და ამასთან სიღარიბის მოსპობა შეიძლებოდეს! ამისთანა მაგალითები ჩვენ მხოლოთ იმისთვის მოგვყავს, რომ უჩვენოთ მკითხველს, რა საშუალებას ხმაროს და როგორ ზრუნავს საზოგადოება იმ ბედისაგან განრისხული პირების დასაშველათ, რომელნიც თვით უგანათლებულესს ქვეყნებში აუარებელი მოიპოვებიან. ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით, რომ ამისთანა საშუალებით ქვეყანაზე სისაწყლის მოსპობა არ შეიძლება, შეიძლება მხოლოთ რამდენსამე ღარიბს, ისიც დროებით, შეუმსუბუქდეს გაჭირვებული მდგომარეობა და გაუადვილდეს ცხოვრება. აი მაგალითი, რომელიც ამ ჩვენ აზრს ცხადათ ამტკიცებს:

არცერთი ქვეყანა, არცერთი საზოგადოება არ ზრუნავს ისე ღარიბებისთვის, როგორც ინგლისში ზრუნავენ: ყოველ ინგლისის სოფელში ცალკე კამიტეტებია მმართებლობისაგან განწესებული, რომლის საქმე მხოლოთ ისაა, რომ ღარიბებისთვის იპოვოს საცხოვრებელი ღონის-ძიება; იქ თითქმის ყოველს დიდსა და პატარა ქალაქში ღარიბი მუშებისთვის გაშენებულია სახლები, საცა ისინი მუქთად პურს სჭამენ და ღამე თავს იფარავენ; წელიწადი არ გაივლის ისე, რომ კერძო პირებმა რამდენიმე მილიონი მანეთი არ შესწიროთ ღარიბებს. მაგრამ რა გამოდის ამისთანა შეწევნისაგან? ჩვენ ვხედავთ, რომ ისეთი საშინელი სიღარიბე და იმდენი ღარიბები, რამდენიც ინგლისშია, თითქმის არცერთ სხვა ქვეყანაში არ მოიძებნება. მაშასადამე ვხედავთ, რომ ზემოხსენებული ფილანტროპიული სახსრები მაგდენათ არ შველის ღარიბ ხალხს და თუ რასმე შველის, ისიც დროებით და რამდენსამე.

მაშ რა ეშველება ღარიბებს, რა დაიხსნის იმათ იმ გაჭირვებული მდგომარეობიდამ, რომელშიაც ისინი ხანდისხან პირუტყვების კმაყოფილებასაც შენატრიან?

სხვა და სხვა ათასნაირ ავათმყოფობის რიცხვში, რომლებიც ღმერთს კაცის დასასჯელათ გაუჩენია, ერთი ისეთი ავათმყოფობაა, რომ ექიმი ძალიან ძნელათ გამოიცნობს — თუ საიდგან წარმოსდგება ის და სად უნდა მიაშველოს იმან წამალი? კაცს ფეხი, ხელი ან სხვა რომელიმე ნაწილი სხეულისა ასტკივდება; გამოუცდელი ექიმი იმწამსვე ამ ნატკენ ალაგზე ადებს ათას ნაირ წამალს და ძალიან უკვირს, რომ ეს წამლები ავათმყოფს სრულიად არ უხდება. ბამოცდილი და მცოდნე ექიმი კი იმწამსვე მიხვდება, რომ ნამდვილი მიზეზი და, ასე ვსთქვათ, სათავე ხელის ან ფეხის ტკივილისა ის არის, რომ ავათმყოფს ზურგის ტვინი აქვს სადმე დაზიანებული და აქედამ მიმავალი ნერვები ხელებში ან ფეხებში აჩენენ ტკივილს; ის მაშინვე ამ ზურგის ტვინის ექიმობას შეუდგება და, დარწმუნებული იყავით, რომ მის მორჩენისათანავე, ხელებშიაც და ფეხებშიაც გაქრება ტკივილი.

სწორეთ ზემომოყვანილ ცუდ ექიმებათ ჩაითვლებიან ის პირებიც, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ ფილანტროპიით შეიძლება ხალხის სენის (სიღარიბის) მოსპობა. წაღები რომ გაცვთება, ნაჭრების დაკერება ძალიან ცოტას უშველის, ახლის ყიდვაა საჭირო. ასეა სიღარიბის სიქმეც: როცა ის იქამდი მივიდა, რომ ათას კაცში მხოლოთ ოცი მოეპოება ისეთი, რომელთაც საკმაოთ და ხან გადამეტებით აქვთ საცხოვრებელი ღონის-ძიება და დანარჩენი ცხრაას ოთხმოცი კი შიმშილით წყდება, მაშინ ამ ცხრაას ოთხმოცში ორისა და სამის გაძღომა საქმეს არ უშველის; ამას გაცვეთილ წაღებზე ნაჭრების დაკერება ჰქვია. დღემდი სიღარიბის მოსპობას საზოგადოება მხოლოთ ფილანტროპიით აპირებდა. მაგრამ ახლა საუკეთესო ხალხის სენის ექიმებმა და ყველაზე უკეთ თვითონ ღარაბებმა გაიგეს, რომ ფილანტროპია ისეთი წამალია, რომელიც არათუ ძირიანათ არ მოსპობს სიღარიბეს, მაგდენათ ვერც შეამსუბუქებს იმას. მუშა-ხალხმა მიხვდა, რომ იმათი მდგომარეობის გაუმჯობესობას ხელფეხზე მალამოს დადება კი არ მოუხდება, როგორც ზემო, მოყვანილს მაგალითში, არამედ თვითონ ამ სენის მიზეზის, სათავის გაგება და იქ წამლობაა.

რა არის მიზეზი მუშა-ხალხის სიღარიბისა?

სიღარიბის, როგორც სხვა ყოველგვარი კაცობრიობის უბედურების მიზეზი ქვეყანაზე არის ქონებისა და ცოდნის უთანასწოროთ გავრცელება. იმ დროს როდესაც ერთი ისე მდიდარია, რომ არ იცის — როგორ მოიხმაროს თავის სიმდიდრე, ათასი სხვა უსახლ-კაროობისა და შიმშილისაგან კვდება; იმ დროს როდესაც ერთი სწავლული და მცოდნეა და ამით პოულობს საცხოვრებელს ღონის-ძიებას, ათი ათასი სხვა უმეცრებაში და ცრუმორწმუნებაშია ჩავარდნილი!..

თუნდ იმავე ინგლისში, ჩვენ ვხედავთ, რომ მთელი მიწები რამდენსამე ათ პირს ეკუთვნის და დანარჩენი სოფლის ხალხი კი ხიზნათ სცხოვრებს სხვის მიწაზე, რომლიდგანაც პატრონს ყოველთვის შეუძლია აყაროს. ჭალაქის მუშა დილიდამ საღამომდი და ხანდის-ხან საღამოდამ დილამდი რომელსამე ფაბრიკაზე მუშაობს და იმის შრომით სარგებლობს ფაბრიკის პატრონი, რომელიც ამ რიგათ, სხვისი შრომით, მდიდრდება. — ცოტათ თუ ბევრათ ყველგან ამნაირათაა ახლანდელ დროში გაწყობილი ადამიანის ცხოვრება და რაგასაკვირველია, რომ ქვეყანაზე ღარიბები მოიპოვებიან.

აქედამ ცხადია, რომ სიღარიბის შესამსუბუქებელათ საჭიროა, რომ ყოველი კაცი შრომობდეს, რომ ყოველი კაცი თვითონვე სარგებლობდეს ამ თავის შრომით და ამასთან, რასაკვირველია, ჰქონდეს საგანი, რომელზედაც ის თავის შრომას ალევდეს.

რასაკვირველია, ცოდვილ დედა-მიწაზე სიღარიბისა და ამასთან ყოველ გვარი ცუდკაცობის მოსპობას კაცი, იქნება, ვერასოდეს ვერ მოესწროს. მაგრამ სრულ ნეტარებაზე ოცნებას თავი უნდა დავანებოთ და ბედნიერათ ჩავრაცხოთ თავი მხოლოთ

ფელტონი

ცხელ-ცხელი ამბები! *)

სულ ცხელ-ცხელი! სულ ცხელ-ცხელი!! არ შეიძლება ერთხელ ციეიც გვაღირსო? ნაზისა და ნარნარის ხმით, გაბუტვით, გვეტყვიან ზოგიერთები!.... აი ნამდვილი ბრძანება, გულითადი შენიშვნა, ჭეშმარიტი მოთხოვნილება: უეჭველია, რომ მხურვალებას გასაგრილებლად ცხელი აღარ ეჭირვება და ამ მიზეზით, არა თუ დასაწუნი, ნესვივით ორივე ხელით დასაჭერია ციეი რამ!.... მართლათაც, რაღა ცხელ-ცხელი ეჭირვება ჩვენს საზოგადოებას, როდესაც ოფლათ გამწურავი სიცხე ამოდენი ხანია გასახეთქათ აჭერს და მომაღლისათვისაც უარესს ექადება?!.. დარწმუნებული ვარ, რომ ეს სიცხე ჩვენს საზოგადოებას კარგს არას დააყრის: ნამუშაევრს დაუგვალავს მუშებს და, რისაც მომკას აპირებენ, ისიც გაუხმებათ და იარაღიც უქმად გალესილი დარჩებათ. რანაირი სახე ექნებათ იმათ მაშინ!... დათენთილი! დამჭაველებული ისე, რომ ერთი მათი შეხედვა ჩადებულ-კიტრს მოგაგონებსთ!....

მაგრამ ჯერ არას ვიტყვით მომავალზედ და მის „რაიქნებაზედ“... შორს არ დავიწყებთ ხელის პოტინს და წინ ხტომას, თორემ ხშირათ წინ ხელის მოპოტინებამ კანის აწვა იცის ხოლმე!... მაშ ისევ აწმყოზე ვილაპარაკოთ!

„ციწვით! ვიდაგვით! ვიხრუკებით სიცხით! სადა ხარ გამაგრილებელო წვიმავ!!....“ საზოგადო ღაღადია! თუ არ ქუდ-მოხდილი, ქუჩაზედაც გამოსელას ვერავინა ბედავს და უმეტესი ნაწილი თავს მიწისკენ ჰხრის იმ აზრით, რომ ეგებ ტალახის წყალობით მაინც გავიგრილოთ შუბლიო!

მაი, რა ძნელია, რომ კაცს მეტი საშუალობა აღარა რჩებარა და მიწას ეხვეწება გაგრილებას! ძნელია, მაგრამ მაინც, ღმერთო, უსმინე მათ ვედრება და გააგრილე ისინი მიწით!... ზოგიერთები ისე შეუწუხებია სიცხეს, რომ პირი დაულიათ, ენა გამოუგდიათ და ისე დატანტალობენ!... სახლებში უფრო მეტათაც ცხელა და ეს კი ქალბატონებს ბრალია! ი დალოკილები უდროოდ და უანგარიშოდ აღებენ ფანჯრებს, სქელ ფარდებს ვერ უკეთებენ და მით მხურვალე სხივებს ველარ იმაგრებენ! მაინც ეპარებათ!... ზოგიერთს ოჯახში, რომ შებრძანდეთ, უეჭველია, სიცხე მოგეცემათ და ოფლიც მაშინვე გადაგასქდებათ, რადგანაც ქართულის ბუხრების მაგივრად რკინის ფეჩები შემოულიათ, წამდაუწუმ ახურავენ მათ, ყოველს წამში ნაგუზლებს უჩხიკინებენ, სულს უბერავენ და ხშირათ კალთებითაც ებერტყებიან.... აი სიცხის შემდეგი!

ერთმა მელაღუმეს ახალგაზდა ლამაზმა ქალმა, სიცხისაგან გამოჯავრებულმა, უყურა თავის ქმარს, რომ გზების ხან მარცხნივ და ხან მარჯვნივ გადაყვან-გადმოყვანის დროს, თოფის წამალს აფეთქებენ და ხელ მარჯვეთ აკეთებდა ლაღუმებს, თვითონაც თავის შესაფერი მელაღუმობა მოინდომა. დაიმგროვა თოფის-წამალი და მუდამ თან ატარებდა; ერთს დღეს შეხვდა ერთს ყმაწვილ კაცს, აუტყდა უმიზეზოთ და შიგ ცხვირ-პირში უფეთქა. რომ ის ყმაწვილი მარდი არ ყოფილიყო, შენი მტერი, რომ იმას მთლად ცხვირ-პირს მიურუჯავდა! — ბამობრუნდა ყმაწვილი და იფიქრა: ეს ისეთ ნაირათ ჰყრის კვანტებს, რომ, თუ ერთი ბრიყვების სამჭედურში არ მივიყვანე, გააფუჭებს ვისმესო!.... ბრიყვების სამჭედური, ხომ მოგეხსენებათ, იმისთანა ხახლია, სადაც მაკვინტალებს ფეხებს აუზევენ კვერებს მიარტყმენ და დასჭედენ ხოლმე. აი ამ სამჭედურში მოუნდომა წაყვანა, მაგრამ ბოლოს გაიგო, რომ ლამაზი ქალი შიშით ისეც დამბილდაო და საფეთქი წამალიც ისე დაისველა, რომ ველარ აფეთქეფს და ველარც არაფის გარუჯავს და დაანება თავი!

*) თ. აკ. წერეთელი დაგვპირდა ჩვენ ხანდისხან ფელტონების და სხვა და სხვა შენიშვნაების გზავნას ამ რუბრიკით: „ცხელ-ცხელი ამბები.“ ჩვენ სიამოვნებით ვაძლევთ და მივსცემთ კვალადაც ადგილს მის ნაწერს, თუმცა ძლიერ ხშირად ისიც შეგვხვდება, რომ ჩვენ მის აზრს არ ვეთანხმებოდეთ ან მის ნაწერს არ თანაუგრძნობდეთ. მკითხველი ამ შემოხვევებში დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ჩვენ სხვათა შორის გვაქვს აზრში ხმის ამოსაღებელი ასპარეზი მივსცეთ იმისთანა მწერალს, როგორიც აკ. წერეთელია. — რედ.

იმით, რომ ადამიანი შიმშილით არ კვდებოდეს. და ამ მდგომარეობამდი მიღწევა თვითონ კაცზეა დამოკიდებული; იმან უნდა იქონიოს მხედველობაში მხოლოთ ის, რომ საყოველთაო სენს და სრულიად მოშლილ სხეულს ერთ ადგილზე წამლის მიდება არაფრათ არ მოეხმარება.

ნ. ჟ/ნ.

საქართველო

მეოთხე კრება იმერეთის სამღვდელოებისა.

(„დროების“ კორრესპონდენცია)

ივნისის 22-ს ყრილობა ქონდა იმერეთის სამღვდელოებას ქალაქს ჭუთაისში. ყრილობა იყო შემდგარი იმერეთის ეპისკოპოზის, ბაბრიელის, ბრძანებით, სასულიერო სასწავლებლების გაუმჯობესობის თაობაზე. ეს ყრილობა დაწყებიდამ მეოთხეა. წინანდელი სამი ყრილობის ამბავი „დროებაში“ მოყვანილი იყო და მკითხველებმა უნდა იცოდნენ. ამ ყრილობაზე, დანიშნულ დღეს, თითქმის ყველა დეპუტატები შაიკრიბნენ სასწავლებელის ერთ დიდ ოთახში. პირველად ლაპარაკი ჰქონდათ თავს-მჯდომარის აღრჩევაზე; შუადღემდინ არა გაკეთებულარა. სხდომა დანიშნეს-საღამოს ხუთ საათზე; ყველა დეპუტატები შაიკრიბენ. თავსმჯდომარის აღრჩევაზე დიდხანს იყო ლაპარაკი, მაგრამ, რადგან დროება მიდიოდა უქმად დადეკანოზმა ბამრეკელოვმაც მსურველობა გამოაცხადა თავსმჯდომარეობის ყოფნისა, ის აღირჩია კრებამ, მაგრამ კენჭის ყრით კი არა. მიიღო თუ არა თავს-მჯდომარეობის თანამდებობა, ბამრეკელოვმა გამოუცხადა კრებას, სასწავლებლის გამგეობის წევრების კანდიტატები აღერჩიათ. უსტავის ძალით, სასულიეროს მხრით სასწავლებლის გამგეობაში ორი პირი უნდა იყოს დანიშნული წევრებათ. 1868—1871 წლამდე ივნისის 21 რიცხვამდი სასწავლებელში სასულიეროს მხრით წევრებათ იყენენ: ერთი დეკანოზი ბამრეკელოვი და მეორეც დეკანოზი მიქიეი. ამ კრებაში მთელმა სამღვდელოებამ წევრების თანამდებობაზე კანდიდატებათ სულ სხვა მღვდლები აღირჩია; ძველ წევრებში ერთად ისევ დეკანოზი მიქიეი ისურვეს კანდიდატათ. უსტავის ძალით, წევრების თანამდებობაზე ოთხი კანდიდატი უნდა ყოფილიყო აღრჩეული; სამღვდელოებამ ორი სოფლელი მღვდელი, ბლაღოჩინები, აღირჩია და ორიც ქალაქში მცხოვრებლები. ამ ოთხ კანდიდატებზე რომ გათავდა კენჭის ყრა, შემდეგ, რამოდენიმე დეპუტატების თხოვნით, მ. ბამრეკელოვმა მეხუთე კანდიდატათ ყოფნა ისურვა და იყარა კენჭიც. მას იმდენი აღმოჩნდა მსურველების ხმა, რამოდენმაც ისურვა დეკანოზი მიქიეი.

მეორე დღეს რვა საათზე იყო დანიშნული სხდომა. ცხრა საათზე შამობრძანდა ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი ბაბრიელი და სხვათა სასარგებლო დარიგებათა და სიტვებთ შორის ცხადათ დაანახვა მრთელს შეკრებილებას საჭიროება სასულიერო სემინარიის გახსნისა ქალაქს ჭუთაისში და ის, რომ ახლანდელი სასულიერო ოთხკლასიანი სასწავლებელი არ აკმაყოფილებს ჩვენ მოთხოვნილებას.

ამ კრებაშივე თითო შტატზე დასდვეს კიდევ ცამეტ-ცამეტი შაური შკოლის სასარგებლოდ, რომელიც შეადგენს სულ ორას ორმოც მანეთს და თოხმეტ შაურს. სხვაზე ამ კრებაში არაფერზე ყოფილა მსჯელობა, თუმც დეპუტატებს კი ძლიერ სურდათ რამოდენიმე საგანზედ მოლაპარაკება. დეპუტატებმა რამდენჯერმე სთხოვეს წინანდელ დაყენებულ წევრებს, რომ ფულის შესავლისა და გასავლის ანგარიში გაეგებინებიათ მათთვის, მაგრამ მათ გამოუტანეს შესავალ-გასავლის წიგნები რომლიდამაც დაწერილებით ანგარიშს ძნელათ გაიგებს კაცი. შუა დღეზე კრება დაიშალა და ყველა დეპუტატები წავიდნენ თავიანთ სოფლებში. კენჭის ყრაზე წევრების არჩევის დროს, და ეგრეთვე სხვაშიაცა, უნდა ვსთქვა მართალი, არ იყო დაცული წესიერება რიგიანად, რომელშიაც არცერთ დეპუტატს მღვდელს არ მიუცია მიზეზი. წევრების არჩევაზე შემდგარი ჟურნალები წარუოდგინეს ეპისკოპოზს, მაგრამ რომელი დაამტკიცა წევრებათ იმ ხუთ კანდიდატში, არ არის გამოცხადებული.

შორაპნელი ბ—ნი

29 ივნისს, 1871 წელსა.

დ. ყვირილა.

უფალო რედაქტორო!

ზოგ-ზოგ ნაირ საქმეებს, რომელზედაც დიდი ყურადღება აქვთ მიქცეული ჩვენი ტახტის გაზეთებს, თქვენი გაზეთი, არ ვიცი, რა მიზეზის გამო, არ აძლევს ადგილს თავის ფურცლებზედ. დასამტკიცებლათ ამ აზრისა მე მოვიყვან იმ შემთხვევას, რომ „დროებაში“ არ არის ხოლმე მოლაპარაკება ეპარქიის სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებაზედ ჩვენში. თქვენ დამერწმუნებით, რომ ამ საქმეს უნდა მიექციოს დიდი ყურადღება. სანამ ლიტერატურა და საზოგადოება თითონ არ მიაქცევს ამ საქმეს ჯეროვანს ყურადღებას, ადმინისტრაცია, როგორც გვაჩვენებს ისტორია პირველი ევროპის სახელმწიფოთა, ვერ ამოლევს სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებასა.

როგორი შემთხვევები ხდება ხოლმე ჩვენ ეპარქიაში, ამას გვიჩვენებს შემდეგი ფაქტი:

წარსულს კვირას მე იარმუკის მეიდანზედ ვშინჯავდი გასასყიდს წიგნებს. ეზედავ, ჩემს ცოტა მოშორებით დიდი არიაქოთია; მიველი შესატყობლად იმ არიაქოთის მიზეზისა. აი რა შევიტყე: სოფლელს კაცს ჩამოეტანა ქალაქში გასასყიდათ თავისი ჭირნახული გოდრებით; გაეყიდნა ზოგი და ცარიელი გოდრები დაეწყო თავის ახლო. იმის ახლო ქალაქელი მოვაჭრეები ყიდდნენ ზოგი ახალ ხილს, ზოგი სემიჩკებს, ზოგი სპიჩკას და პაპიროსს. ერთი იმათგანის პატარა ძმას მოეპარა იმ გლეხი-კაცისთვის ორი გოდორი და ერთი საცალო. უკანასკნელის ნივთის მოპარვაზედ სოფლელმა კაცმა დაიჭირა ქურდი. მაშინ მისცვივდნენ ახლო-მახლო მოვაჭრენი მოქალაქენი და ის პატარა ქურდი ძალათ გაეშვებინეს. ყველაზე ბევრი მონაწილეობა მიიღო იმ გაშვებაში ერთმა კინტომ, რომელიც ქურდის ძმა გამოჩნდა. ბლეხი-კაცი მიეიდა იმასთან და უთხრა:

— ან ის ქურდი მიპოვნე, ან შენ უნდა მიზღო ჩემი დანაკარგი.

კინტომ გალანძღა სოფლელი კაცი და კიდეც საცემლათ მიიწივა. აქეთ-იქით მდგომარე მოვაჭრეთ და კინტოებმა ყველამ კინტოს მხარე მიიღეს და დაუწყეს საწყალ სოფლელს რცხვენა და ლანძღვა.

— არა გრცხვენიან, შე სოფლის ეირო, ეუბნება ერთი ფაშვიანი კაცი,—ცალიერ გოდრებზედ როგორ ჩხუბობ? წამოდი, ორი კი არა, თუნდა ათ ცალიერს გოდორს მოგცემ.

ბლეხი-კაცი სრულებით გასტერდა.

— გოდრები და საცალოც მომპარეს, ეგენივე მლანძღვენ და ცემას მიქადიან.

ამ დროს ერთი ქართველი თავადისშვილი ჩაერია საქმეში და მიიღო ყველაფერში მართალი გლეხი-კაცის მხარე. ამ თავადმან ერთი გოდორი იქვე გამოართვა კინტოს სტოლქვეშ, და ბევრი ირბინა აქეთ-იქით, ეპოვნა პოლიციელი ვინმე, რომ ის ქურდი დაეჭერინებინა, მაგრამ ვერავინ იპოვნა. ბლეხს-კაცს ცოტა გული მოუვიდა და უყურებდა ამ თავადს, ვითომც ჩემი მაცხოვარიაო.

თითონ ამ თავადს უშვერი სიტყვები უთხრეს მოქალაქეებმა, მაგრამ იმან ყურადღება არ მიაქცია იმათ ლაპარაკს, ჭკვიანათ დაუმტკიცა იმათ, რომ ისინი ძალიან უსინიდისოთ იქცევიან და იმათ გამო სოფლელებს არ მოაქვთ ქალაქში თავის ჭირნახული გასასყიდათ და იმიტომ ქალაქში ყველაფერი ძვირია.

უფალო რედაქტორო! იარმუკის მეიდანზედ მე ბევრი მინახავს იმისთანა შემთხვევები, სადაც მოვაჭრეები უსამართლოდ და ულმერთოთ ექცევიან საწყალ გამოუცდელ, გუბედავს, მოშიშარს სოფლელს. ბანა არაფერი კანონიერი ღონის-ძიება არ იპოვება, რომ სოფლელები დაისხნენ ამ დაბრიყვებისაგან?

ბ—ლი.

იარმუკის მეიდანი. 3 ს ივლისს.

ჩვენ გავიგონეთ, რომ ამ დღეებში მიცვალებულს დარია, ანტონოვის მეუღლეს დაუტოვებია ორი ახლი, ტფილისს, ბოლოვინის პროსპეკტზე, ფასით ოთხი ათასი თუმნამდინ, რომლის სარგებელი, მიცვალებულის ანდერძით, ორ თანასწორ ნაწილათ უნდა გაიყოს: ერთი ნახევრით უნდა გაიზარდონ შაგირდები ტფილისის კლასიკურს გიმნაზიაში და მეორე ნახევრით—ქალები ტფილისისავე წმ.ნინოს სასწავლებელში. ამ სტიპენდიებს უნდა დაერქვას მიცვალებული დარია ანტონოვის და იმის ქმრის სახელი, რომლისთვისაც მმართებლობისაგან ნება-რთვის გამოტანამის აპეკუნებს უკისრნიათ. სტიპენდიატად მიღებაში უპირატესობა მიეცემათ ღარიბი და განსაკუთრებით ობოლი ქართველი აზნაურების შვილებს.

ეს, მგონია, პირველი შემთხვევაა ჩვენში, რომ ვასმე ჩვენებურს, თავის სიცოცხლეში ან სიკვდილის შემდეგ, რაიმე შეეწიროს ამისთანა კეთილი საქმისათვის.

* * *

ისე რუსულ გაზეთს ვერ აიღებთ ახლა ხელში, რომ სამი-ოთხი ცეცხლის გაჩენა და რომელსამე ქალაქში სახლების დაწვა ან სოფლებში ტყისა და მინდვრის ამოთუთქვა არ იყოს შიგ აწერილი. ყოველ ზაფხულს ისმის ამისთანა ამბები რუსეთიდამ, ყოველ წელიწადს ცეცხლი დიდ ზიანს აძლევს რუსეთის მოქალაქეებსა და სოფლელებს. მაგრამ იქ ქალაქებში ცეცხლის დასაქრობი მაშინებია და საზოგადოებები, რომელნიც უზღავენ ცეცხლის ზიანს. ჩვენშიაც ძალიან ხშირია ცეცხლი, განსაკუთრებით ხშირათ იწვის მინდვრებში გამხმარი ბალახი და ტყეები. მაგრამ ჩვენში არც მზღვეველი მოიძებნება და არც ყურის მგდებელი, რომ ხალხი ააშოროს ამ უბედურებას. სხვა ქვეყნებში ყველგან აღკრძალულია, განსაკუთრებით ზაფხულს, ტყეში ცეცხლის დანთება და საზოგადოთ დიდი სასჯელი მიადგება იმას, ვინც გაუფრთხილებლობისაგან ტყეს ან მინდორს ცეცხლს გაუჩენს. ჩვენში კი ვის არ უნახავს, რომ რომელსამე ხეს ძირში შეუნთებენ ცეცხლს და დაუქროგელათ დასტოვებენ. აი, საიდამ წარმოსდგება ცეცხლი; ტალკვესს ძალიან სიფთხილით უნდა ხმარება, თორემ ხშირათ ერთი კაცის გაუფრთხილებლობით მთელ სოფელს მიეცემა უზღვეველი ზიანი.

* * *

ამფერ! ყმაწვილო კაცო, შენს სულ-გრძელობას! მან გაცხონოს შენ!....

აი კიდევ რა იცის სიცხემ: ცეტ—ბასილა ყმაწვილები, სიცხისაგან გამოჯავრებულები, დადიან და იმღერიან ამ სიცხის ლექსებს:

მზემან იცის დაჭირება,
დაჭირვამ იცის სიცხე;
სიცხემ იცის გაჭირება,
და გაჭირვამ სიფიცხე.

—

სიცხე აღრინებს ჩვენს ძალლებს,
ვირებს კუდებს აქნევინებს,
სიცხე გვიხურებს ჩვენ სახლებს,
სიცხე უქნელს აქნევინებს!

—

კატებს „მიაუს“ აჭყავლებს,
მეკატურებს: „ფისო! ჰფისო!“
ოხ, სიცხე როგორ გაწვალებს
შენ, საბრალო ჭუთაისო!

* * *

მგებ ის გეგონოსთ, რომ ჩვენი საზოგადოება არა გრძნობდეს სიცხეს და არ უნდოდეს თავის მორჩენა? არა, სცდილობს, მაგრამ მკურნალი ვერ შეხვდა კარგი: ამოურჩევიათ ვიღაც ტუტუცოვი და მის რეცეფთს უფროც უწყენია. აი ის რეცეფთი:

ᲛᲣᲓᲐᲛ ᲰᲝᲠᲝᲠᲣᲛ=ასი გრანი,
ᲓᲐ ᲙᲐᲞᲐᲡᲝᲠᲣᲛ=ათასი გრანი,
ᲔᲜᲣᲡ ᲢᲐᲠᲢᲐᲠᲣᲡ=უზომოთ,
ᲐᲠᲐ ᲡᲐᲥᲜᲐᲠᲣᲡ=დილიდამ საღამომდე.

დოქტორი ტუტუცოვი.

ეს რეცეფთი, რასაკვირველია, უფრო აწყენდა!....—ახლა სხვა დოქტური ერთგულაძე გამოჩენილა და უწერსთ ამ რეცეფთს, თუ არა დაუწუნეს:

„ᲔᲜᲘᲡ ᲢᲐᲠᲢᲐᲠᲣᲡ
ᲡᲣᲚ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲐᲠᲣᲡ,
ᲡᲐᲥᲜᲐᲠ ᲙᲘᲗᲮᲝᲠᲣᲛ
ᲡᲣᲚ ᲐᲠ ᲰᲝᲠᲝᲠᲣᲛ.“ } მირთვან დილ-ღა-საღამო-თი, უგრანით

დოქტორი ერთგულაძე

ეს რეცეფთი კი დაუწერია დოქტორს, მაგრამ ფერშალი სად არის? სამკურნალო ვინ უნდა მიართვას მით? ვინ გამოიმეტებს თავს?

ჩემ „ცხელ-ცხელ“ ამბებში უნდა ჩაურთო ეს ლექსი, რომელიც ერთი პატარა ქუჩის ბიქისაგან გავიგონე:

ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲚᲝᲪᲕᲐ.

„ᲕᲐᲘᲡ“ უნდა გავეყაროთ,
მაგრამ „ᲣᲘᲡ“ შევეყრებით!
და მაშ როგორღა ვიხაროთ,
მაცხოვარო, გევედრებით:

—

ᲭᲘᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ თუ გვიშველე,
ᲐᲒᲕᲐᲨᲝᲠᲔ ერთიც სენი:
ᲑᲐᲢᲝᲜᲡ რადგან მოგვაცილე,
ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘᲡᲒᲐᲜᲪ გვიხსენი!...

—

ᲛᲝᲒᲕᲘᲛᲐᲠᲗᲔ, ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, ᲮᲔᲚᲘ,
მოგვაშველე პოლიცია,
საზრდოცა უკანასკნელი
ჩვენ იმათთვის მიგვიცია!

—

და მისას ნულარ გვიბძანებ,
რომ ჰქვია აპპელაცია!.....
ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, რაღათ აგვიანებ?
ᲑᲐᲡᲬᲧᲓᲔᲡ რაც ცუდი კაცია!

—

ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘ დაჰქოლე,
მეხი დაჰკარ, დაეც ზარი
და მათვე თან გააყოლე
მისის კალმით სეკრეტარი!

—

ᲩᲕᲔᲜᲡ. . . . . .
ᲐᲛᲘᲡ მეტსა ნურას არგებ:
ᲜᲐᲥᲠᲗᲐᲛᲡᲐ ჩაი-შაქარსა,
მაცხოვარო, ნუ შეარგებ!

—

. . . . . .
ᲐᲕᲘᲡ სენით შეიპყარი!...
და მაშინ ისიც გამოსცდის,
ᲩᲕᲔᲜᲘ ტანჯვა თუ რა არის!

—

. . . . . თუ ახვედრებ,
ᲐᲠᲐᲡ აწყენს ერთი მეხი!...
ᲡᲮᲕᲔᲑᲘᲡᲐᲡ კი ბევრს არ გგვედრებ:
ᲓᲐᲐᲛᲢᲕᲠᲘᲔ მათ თავ-ფეხი!!!...

თ. ᲐᲙ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ

ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘ.

ᲓᲦᲔᲛᲓᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲨᲣᲐ ᲐᲠᲪ ᲛᲘᲬᲔᲠ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲤᲝᲩᲢᲘᲗ ᲠᲘᲡᲘᲛᲔ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜ-ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲥ, ᲯᲔᲠ ᲝᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲞᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲒᲖᲔᲑᲘ ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲐᲮᲚᲐ ᲤᲝᲩᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲘᲫᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲨᲣᲐ ᲓᲐᲣᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜ-ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲐᲠᲘᲡᲝ.

* * *

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ᲥᲘᲔᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ 17-Ს ᲛᲝᲚᲝᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ ᲘᲛ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ (ᲒᲐᲚᲐᲕᲘᲡ) ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲛ, ᲓᲔᲛᲘᲓᲝᲕᲘᲡᲐᲛ, ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲐᲪ ᲔᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲘᲡ-ᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲘᲥᲐᲣᲠᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲐᲥᲪᲔᲕᲡ. ᲓᲔᲛᲘᲓᲝᲕᲘᲡᲐᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ, ᲠᲐᲪ ᲓᲦᲔᲛᲓᲘ ᲣᲥᲜᲘᲐᲗ ᲦᲐᲠᲘᲑᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲥᲘᲔᲕᲨᲘ, ᲘᲛᲐᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲗ ᲓᲐᲐᲩᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲘᲡ ᲣᲠᲩᲔᲕᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲕᲐᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲦᲐᲠᲘᲑᲛᲣᲨᲔᲑᲡ ᲐᲜ ᲡᲣᲚ ᲛᲣᲥᲗᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲜ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲐᲡᲘᲗ ᲨᲔᲔᲫᲚᲝᲡᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲭᲐᲛᲐ. ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲔᲛᲘᲓᲝᲕᲘᲡ ᲪᲝᲚᲘ ᲔᲠᲗᲑᲐᲨᲐᲗ ᲮᲣᲗᲘᲐᲗᲐᲡ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲬᲘᲠᲐᲕᲔᲡ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲬᲔᲚᲘᲬᲓᲡ ᲔᲥᲕᲡᲐᲡ-ᲔᲥᲕᲡᲐᲡ ᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲡᲗᲮᲝᲕᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲝᲡ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲦᲐᲠᲘᲑᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕ-ᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ (пріютъ) ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲕᲐᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲡᲐᲓᲛᲔ ᲐᲚᲐᲒᲘ ᲐᲛᲜᲐᲘᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲐᲗ. ᲥᲘᲔᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲛ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲐᲛ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲬᲘᲠᲕᲐ ᲓᲐ, ᲘᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐᲒᲕᲐᲠᲗᲐᲗ, ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲐᲪ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ (ᲒᲐᲚᲐᲕᲘᲡ) ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲐᲥᲪᲔᲕᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲡᲐᲛᲠᲗᲐᲕᲘ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲛᲔ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲗᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲡᲐᲔᲥᲚᲔᲚᲘ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲛᲔ ᲨᲙᲝᲚᲐᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲐᲜ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲨᲙᲝᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲡ ᲐᲐᲨᲔᲜᲔᲑᲡ; 3) ᲔᲠᲝᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚ ᲨᲙᲝᲚᲘᲡ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲨᲙᲝᲚᲐᲡ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲗᲕᲐᲚ-ᲧᲣᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲓᲔᲕᲜᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐᲔᲑᲘ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲔᲠᲝᲑᲐᲡ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲘᲜᲝᲡ.

* * *

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ 26-Ს ᲮᲝᲚᲔᲠᲘᲐᲜᲘ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲣᲚ ᲥᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲪᲘ—360 ᲧᲝᲤᲘᲚᲐ. ᲐᲛ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗᲓᲐᲛ ᲚᲝᲛᲞᲘᲢᲚᲔᲑᲨᲘ 20 ᲛᲝᲛᲙᲕᲓᲐᲠᲐ. ᲮᲝᲚᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲩᲔᲜᲘᲗᲓᲐᲛ (1 ᲛᲐᲠᲢᲘᲗᲓᲐᲛ) ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲔᲑᲨᲘ ᲬᲝᲚᲘᲚᲐ—1,347 ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲓᲐᲛᲐᲪ—654 ᲛᲝᲛᲙᲕᲓᲐᲠᲐ.

* * *

„ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲮᲝᲚᲔᲠᲐ ᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲗᲐᲜ ᲛᲐᲢᲣᲚᲝᲑᲡ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘᲡ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲡᲐᲛᲠᲗᲐᲕᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲓᲒᲜᲔᲜ ᲠᲘᲒᲘᲐᲜᲐᲗ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲡᲐᲔᲥᲘᲛᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲨᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲑᲐ ᲮᲝᲚᲔᲠᲐ, ᲗᲣ ᲐᲮᲚᲐᲕᲔ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲚᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲕᲘᲮᲛᲐᲠᲔᲗᲝ. ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ 24-Ს ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘᲡ ᲚᲝᲛᲞᲘᲢᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲣᲚ—304 ᲥᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲪᲘ ᲬᲝᲚᲘᲚᲐ ᲮᲝᲚᲔᲠᲘᲗ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲘ. ᲮᲝᲚᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲩᲔᲜᲘᲗᲓᲐᲛ (ᲛᲐᲠᲨᲐᲜ ᲡᲘᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲗᲓᲐᲛ) ᲔᲡ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲜᲘᲐ ᲡᲣᲚ 5,226 ᲙᲐᲪᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲡ, ᲐᲛ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗᲓᲐᲛ ᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲐ—2,764, ᲛᲝᲛᲙᲕᲓᲐᲠᲐ—2,136.

* * *

ᲜᲘᲟᲔ-ᲑᲝᲠᲝᲓᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲖᲕᲜᲔᲑᲡ ᲨᲙᲝᲚᲐ ᲒᲐᲣᲮᲡᲜᲘᲐᲗ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲘᲠᲨᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲨᲙᲝᲚᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲨᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲛᲝᲒᲐᲕᲡ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲡ. ᲔᲠᲗᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲨᲙᲝᲚᲘᲡ ᲨᲐᲒᲘᲠᲓᲔᲑᲘ ᲛᲝᲜᲐᲖᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲝᲠᲗᲣᲚᲜᲘᲗ; ᲘᲛᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲝᲜᲐᲖᲕᲜᲔᲑᲐᲗ ᲐᲛᲬᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲗᲣᲠᲛᲔ, ᲡᲐᲛᲚᲕᲗᲝ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲢᲡ ᲐᲠᲐᲡ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲦᲐᲛ ᲛᲝᲛᲫᲦᲔᲠᲔᲑᲘ ᲘᲛᲐᲡ ᲣᲩᲣᲠᲩᲣᲚᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ „ᲔᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲪᲠᲣ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲝᲐ ᲓᲐ ᲬᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲡ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲐᲠᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲔᲚᲝᲓᲔᲡᲝ“. ᲔᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛ ᲒᲣᲡᲚᲡ-ᲛᲝᲓᲒᲘᲜᲔ ᲛᲝᲜᲐᲖᲕᲜᲔᲑᲘ ᲐᲛᲐᲡ ᲓᲐᲯᲔᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ: ᲘᲛᲐᲗ ᲣᲩᲠᲩᲔᲕᲘᲐᲗ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲒᲚᲔᲮᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲨᲙᲝᲚᲐ ᲓᲐᲮᲣᲠᲔᲗ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲘᲠᲨᲘ ᲒᲐᲒᲘᲖᲠᲓᲘᲗᲝᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲥᲐᲣᲠ ᲛᲘᲛᲠᲘᲒᲔᲑᲔᲚ ᲛᲝᲨᲣᲐᲛᲓᲒᲝᲛᲔᲚᲡ ᲣᲩᲩᲔᲕᲘᲐ ᲒᲚᲔᲮᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲜᲐᲖᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲧᲣᲠᲡ ᲜᲣ ᲣᲒᲓᲔᲑᲗᲝ.

* * *

ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

ᲞᲐᲠᲘᲫᲘᲓᲐᲛ ᲛᲝᲡᲙᲝᲚᲛᲐ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲛᲐ ᲒᲕᲐᲪᲜᲝᲑᲔᲡ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ. ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲛᲐ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲙᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲣᲚ 113 ᲗᲣ 114 ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ ᲐᲙᲚᲓᲐ; ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲔᲑᲘ ᲘᲛᲐᲗ ᲐᲛᲝᲡᲐᲠᲩᲔᲕᲐᲗ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ. ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲐᲛ ᲛᲝᲠᲘᲢᲐᲜᲐ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲠᲘᲪᲮᲕᲨᲘ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲖᲝᲛᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲛᲝᲣᲠᲩᲔᲕᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲞᲠᲘᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲑᲘ ᲡᲣᲚ ᲐᲗᲘ ᲗᲣ ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲕᲔᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛ ᲡᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ, ᲠᲐᲪ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲨᲙᲝᲚᲐᲨᲘ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲣᲗᲐᲕᲔᲑᲚᲝᲗ ᲛᲘᲓᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲨᲐᲒᲘᲠᲓᲔᲑᲛᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲘᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ); 2) ᲔᲠᲝᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲝᲣᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲛᲔ ᲨᲙᲝᲚᲐᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲐᲜ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲨᲙᲝᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲡ ᲐᲐᲨᲔᲜᲔᲑᲡ; 3) ᲔᲠᲝᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚ ᲨᲙᲝᲚᲘᲡ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲨᲙᲝᲚᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲡ ᲐᲐᲨᲔᲜᲔᲑᲡ; ᲘᲛᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲝᲜᲐᲖᲕᲜᲔᲑᲐᲗ ᲐᲛᲬᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲗᲣᲠᲛᲔ, ᲡᲐᲛᲚᲕᲗᲝ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲢᲡ ᲐᲠᲐᲡ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲦᲐᲛ ᲛᲝᲛᲫᲦᲔᲠᲔᲑᲘ ᲘᲛᲐᲡ ᲣᲩᲠᲩᲣᲚᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ „ᲔᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲪᲠᲣ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲝᲐ ᲓᲐ ᲬᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲡ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲐᲠᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲔᲚᲝᲓᲔᲡᲝ“. ᲔᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛ ᲒᲣᲡᲚᲡ-ᲛᲝᲓᲒᲘᲜᲔ ᲛᲝᲜᲐᲖᲕᲜᲔᲑᲘ ᲐᲛᲐᲡ ᲓᲐᲯᲔᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ „ᲔᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲪᲠᲣ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲝᲐ ᲓᲐ ᲬᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲡ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲐᲠᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲔᲚᲝᲓᲔᲡᲝ“. ᲔᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛ ᲒᲣᲡᲚᲡ-ᲛᲝᲓᲒᲘᲜᲔ ᲛᲝᲜᲐᲖᲕᲜᲔᲑᲘ ᲐᲛᲐᲡ ᲓᲐᲯᲔᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ: ᲘᲛᲐᲗ ᲣᲩᲠᲩᲔᲕᲘᲐᲗ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲒᲚᲔᲮᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲨᲙᲝᲚᲐ ᲓᲐᲮᲣᲠᲔᲗ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲘᲠᲨᲘ ᲒᲐᲒᲘᲖᲠᲓᲘᲗᲝᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲥᲐᲣᲠ ᲛᲘᲛᲠᲘᲒᲔᲑᲔᲚ ᲛᲝᲨᲣᲐᲛᲓᲒᲝᲛᲔᲚᲡ ᲣᲩᲩᲔᲕᲘᲐ ᲒᲚᲔᲮᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲜᲐᲖᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲔᲜ თუ ᲐᲠᲐ ᲐᲮᲚᲐᲗ ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲡ, ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲘᲛᲬᲐᲛᲡᲕᲔ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲨᲙᲝᲚᲐᲨᲘ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲣᲗᲐᲕᲔᲑᲚᲝᲗ ᲛᲘᲓᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲨᲐᲒᲘᲠᲓᲔᲑᲛᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲘᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ. ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲔᲑᲨᲘ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲓᲘᲜᲐᲡᲢᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ (ᲒᲠᲐᲤᲘ ᲨᲐᲛᲑᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲒᲔᲠᲪᲝᲒᲘ) ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲓᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ „ᲮᲛᲘᲡ ᲐᲛᲝᲣᲦᲚᲐᲗ ᲓᲐᲔᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲡ ᲓᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲕᲚᲔᲜ ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ;“ ᲐᲮᲚᲐ ᲐᲛ ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲔᲑᲨᲘ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲪᲮᲐᲓᲐᲗ ᲣᲩᲕᲔᲜᲐ ᲘᲛᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲠᲮᲘᲘᲡ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲠᲐ ᲰᲡᲣᲠᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲛᲐᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ ᲣᲩᲩᲔᲕᲡ; ᲛᲐᲨ ᲐᲮᲚᲐ ᲔᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲘᲥᲪᲔᲕᲘᲐᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ? ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲔᲜ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲑᲘ ᲘᲨᲝᲕᲜᲝᲜ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲛᲬᲔᲝᲑᲘᲗ ᲐᲕᲘᲓᲔᲜ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲢᲐᲮᲢᲖᲔ, ᲗᲣ ᲐᲠᲐᲡ? ᲑᲝᲜᲐᲞᲐᲠᲢᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲮᲝᲛ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲬᲐᲮᲓᲜᲔᲜ: ᲘᲛᲐᲗ ᲠᲐᲛᲓᲝᲜᲘᲛᲔ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲧᲕᲐᲜᲓᲐᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛᲐᲗᲨᲘ ᲔᲠᲗᲘᲗᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠ ᲐᲛᲝᲠᲩᲘᲔᲡ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐᲗ; ᲑᲝᲜᲐᲞᲐᲠᲢᲘᲡᲢᲔᲑᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲝᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲛᲔᲓᲘᲐᲓᲠᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ—ᲠᲣᲔᲠᲡ—ᲰᲭᲝᲜᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ, ᲘᲡᲘᲪ ᲒᲐᲐᲨᲐᲕᲔᲡ Ყ

ხე მიიღო, ის ძველებურათ მხიარული და მოძრაები არისო!“

— Ყოველ დღე სამოცი ათასი მუშა აყენია თურმე პარიჟში იმ სახლებს, რომლებიც არეულობის დროს გაუფუჭებიათ, და აკეთებენ. ჭირმა და სხვა და სხვა ავათმყოფობამაც ამ უკანასკნელ დროს ძალიან იკლო თურმე პარიჟში.

— მოხდა თუ არა მორიგება საფრანგეთსა და გერმანიას შუა, პარიჟში იმ-წამსვე შესდგა საზოგადოება, რომლის დანიშნულება ისაა, რომ ყოველი ლონის-ძიება იხმაროს ელზასისა და ლოტარინგიის განთავისუფლებისათვის; ამ საზოგადოების კამიტეტმა ახლანდელ ამორჩევების გამო შემდეგი პროკლამაცია გამოსცა:

„საყვარელნო თანამოქალაქენო! მოვიდა ამორჩევების დრო. ჩვენ არც-ერთ პარტიას არ ვეკუთვნით; ჩვენ მხოლოთ ის გვახსოვს, რომ საფრანგეთი გაყოფილია, რომ იმას წაართვეს ორი საუკეთესო პროვინცია (ელზასი და ლოტარინგია), რომელიც იმის სამუდამო მტერმა დაიპყრო და მიითვისა. ყოველი ჩვენი ფიქრი და მეცადინეობა იმაზე უნდა იყოს მიქცეული, რომ ხელ-ახლავ წავართვათ ჩვენი მიწები ჩვენ შეურიგებელ მტერს. აი, ეს უნდა გვქონდეს ჩვენ მუდამ მხედველობაში მომავალ ამორჩევების დროს, და ისეთი პირები უნდა ამოვირჩიოთ, რომელნიც ყოველ ღონეს იხმარებენ, რომ დაუბრუნონ საფრანგეთს ნემცებისაგან წართმეული პროვინციები!“

— ვერსალის ნაციონალურს კრებაში სჯა იყო იმაზე, გაზეთების გამოცემის მსურველებმა უნდა შეიტანონ ბე, თუ არაო? იმ ქვეყნებში, სადაც ბეჭდვა და სიტყვა თავისუფალი არ არის, არავის არ შეუძლია გაზეთი გამოსცეს, თუ ბე არ შეიტანა ხაზინაში. ეს კანონი იმიტომაა დადებული, რომ ერთი მხრით გაუძნელდეს გამომცემლებს გაზეთის გამოცემა, მეორე მხრით თუ გამოსცემენ, ისევ შეძლებულებმა გამოსცენო, რადგან ისინი მმართებლობისათვის სათაკილოს იშვიათად რასმე დაბეჭდენ, და მესამე მხრით ამ ბეს ის აზრი აქვს, რომ გაზეთის გამომცემმა თუ რამ მმართებლობის საწყენი დაბეჭდა, მაშინ სასჯელათ ამ ბეს წაართმევენ და შემდეგ ხელახლავ ახალი ბე უნდა შეიტანოს. ნაპოლეონის გადაყენების შემდეგ (ე. ი. 4 სექტემბრის შემდეგ) ეს ბეჭდვის შემავიწროებელი კანონი საფრანგეთში მოსპობილი იყო, მაგრამ ახლა ნაციონალურ კრებას ხელ-ახლავ დაუდვია, რომ ვინც ქალაქში გაზეთის გამოცემას მოინდომებს, იმან 12,000 ფრანკი (4,000 მანეთამდი) უნდა შეიტანოსო ბეთ ხაზინაში და ვინც სოფელში გამოსცემს, იმან 5,000 ფრანკიო.

— ბამბეტამ მისწერა წიგნი ბორდოს რესპუბლიკურ კამიტეტს, რომელშიაც ის აცხადებს, რომ ნამდვილ რესპუბლიკელს უნდა უხაროდეს იმ ნაირათ ამორჩევების გათავება, როგორც ახლა გათავდაო.“ ამ ამორჩევებმა დაიმტკიცაო, ამბობს ბამბეტა, რომ საფრანგეთს ჰსურს მიაღწიოს იმ დიდებულებამდი, რომელიც იმპერიის დროს დაჰკარგა იმან. საფრანგეთი რესპუბლიკისაგან მოელის განახლებას და თავის სენის განკურნებასო,“—ასე ათავებს ბამბეტა თავის წიგნს.

— ზევითაა ნათქვამი, რომ ამ უკანასკნელ ამორჩევებში ნაპოლეონის მომხრეები ერთის მეტი არ ამოურჩევიათ. ეს ერთი მანია, ადრინდელი ფინანსის მინისტრი. სხვათა შორის მიურატსაც უყრია კენჭი, მაგრამ გაუშავებიათ.

გერმანია

გერმანიის პატარა სახელმწიფოების გაზეთები სჩივიან, რომ საკავშირო რეიხსტაღი როგორც პრუსიას ჰსურს, ისე სწყვეტს საქმეებსო და არცერთ გერმანიის პატარა სახელმწიფოებს ამ რეიხსტაღში იმდონი ძალა არა აქვს და წარმომადგენლები არა ჰყავს, რომ უწინაღმდეგოს ზოგიერთ ისეთ გადაწყვეტილებაებს, რომელნიც მხოლოთ პრუსიისთვის არიან სასარგებლო და პატარა სახელმწიფოებისთვის კი დამამცირებელიო. გერმანიის საკავშირო რეიხსტაღში სულ 41 წევრია (წარმომადგენელი) და ამ რიცხვში მარტო პრუსიის მხრით 17 დეპუტატია, რომელნიც მუდამ პრუსიის სასარგებლოთ მოქმედობენ, და ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ყოველ საქმეში გამარჯვება იმათკენ რჩება.

— ნემეცურ გაზეთებში სწერენ, რომ გერმანიის ჩრდილოეთ ნაპირებს მმართებლობა ციხეებით და სხვა და სხვა სიმაგრეებით ამაგრებსო. „რასაკვირველია, ამბობს ერთი გაზეთი, ჩვენ ამ ახლო ხანებში ომიანობას არ მოველით, მაგრამ ამ გამაგრებას ჩვენ ამ თავითვე იმიტომ შეუდეგით, რომ იმას ძალიან ბევრი დრო და მუშაობა სჭირდება.“

— ერთს ნემეცურს გაზეთში სწერენ, რომ ამ მოკლე ხანში ელზასსა და ლოტარინგიაში ფრანცუზულ კანონებს აღარ ექნებათ ძალა და მათ ნაცვლათ ნემეცურ კანონებს შემოიღებენო.

ინგლისი

ივნისის 15-ს ინგლისის პარლამენტში გაცხარებული ბაასი ყოფილა იმის თაობაზე— დეპუტატების ამორჩევების დროს კენჭის ყრა საიდუმლო თუ აშკარა უნდა იყოსო? დიზრაელი და ზოგიერთი სხვა კონსერვატიული დეპუტატები ჰკიცხავდენ თურმე ამ საქმის თაობაზე ბლადსტონის ბილს და ამტკიცებენ, რომ ინგლისის საზოგადოება არ თხოულობს საიდუმლო კენჭის ყრასო, რომ ამისთანა დროშიამ საქმეზე მოლაპარაკება მხოლოთ ააღელვებს ხალხს და სიკეთეს კი არაფერს არ მოიტანსო და სხ. საიდუმლო კენჭის ყრის მომხრეები და იმათ შორის ბლადსტონი, კი ამბობდენ, რომ ეს ისეთი საქმეა, რომელიც რაც უფრო დროზე დაწესდება ინგლისში, ისე უფრო მომეტებულ სარგებლობას მოუტანს ხალხს, რადგანაც საიდუმლო კენჭის ყრა აუცილებლათ საჭიროა ისეთი ამომრჩეველებისთვის, რომელნიც დამოკიდებულნი არიან მსხვილი მემამულეებისაგან და რომელთაც აშკარათ შავი კენჭის ჩაგდება ამ მიწის პატრონებისთვის ძალიან ეშინიანთ, რადგან ამნაირი მოქმედება იმათ ხეირს არ დააყრის მით, რომ მიწის პატრონს ვადის გასვლის შემდეგ შეუძლია აყაროს თავის ადგილიდამ ისეთი ფერმერი, რომელმანც ამორჩევების (კენჭის ყრის) დროს იმის მხარე არ დაიჭირა, ე. ი. რომელმანც შავი კენჭი ჩაუგდო იმას.

იტალია

ივნისის 22-ს პაპმა მოუყარა თავი კარდინალებს და ჰქონდა რჩევა იმაზე, როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც ვიქტორ ემმანუილი მოვა რომშიო. ყველამ ერთხმით გადაწყვიტა და პაპიც დათანახმდა ამაზე, რომ იტალიის კოროლსა და რომის პაპს ერთ ქალაქში გაძლება არ შეუძლიათ და ამიტომ, მოვა თუ არა იტალიის კოროლი, პაპი ქორსიკაში უნდა წავიდესო. მას შემდეგ ვიქტორ ემმანუილი დიდის ამბით მოვიდა რომში, ხალხმა საშინელის აღტაცებით მიიღო ისა, და იმის მეკვიდრე, მაგრამ პაპს მაინც რომიდამ ფეხი არ მოუცვლია. ბოლოს პაპმა გამოაცხადა, რომ მოხუცებული კაცი ვარო და სხვაგან გადასახლების და ახალი სამშობლოს შეჩვევის თავი არა მაქვსო. ამასთანავე იმასაც ამბობენ, ვითომც ტიერს წაელოს უკან თავის სიტყვა და შეეთვალოს პაპისთვის, რომ ქორსიკაში დადგომის ნებას ვერ მოგცემთო; ამბობენ, ვითომც ბისმარკს ერჩიოს ტიერისთვის, რომ პაპს ნუ დააყენებ საფრანგეთში, თორემ, იმის სიახლოით დაიმედებულნი, ბურბონის მომხრე კლერიკალები ამოჰყოფენ თავს, მხნეთ დაიწყებენ მოქმედებას და აშკარათ მოინდომებენ თავიანთი სურვილის აღსრულებასაო.

ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი

პ ა რ ი ჟ ი, 3 ი ვ ნ ი ს ს. მოლტკემ ყველა იმ ნემეცური ჯარების უფროსებს, რომელნიც საფრანგეთში არიან, მიწერილობა გაუგზავნა, რომ რაც შეიძლება მშვიდობიანათ იყვნენ და ძალადობას ნუ იხმარებენ ფრანცუზებთან.

კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ო პ ო ლ ი. გადაწყვეტილია, რომ ეგვიპტე და ტუნისი ოსმალეთს უნდა შეუერთდეს.

ივლისის 1-ს პეტერბურღში იყო პ ი რ ვ ე ლ ი შ ი ნ ა გ ა ნ ი ს ე ს ხ ი ს ტ ი რ ა ჟ ი, რომელზედაც შემდეგ ბილეთების ნომრებს ხვდათ მოგება:

№ სერიისა	№ ბილეთისა	მ ო გ ე ბ ა
3,110 —	— 44 —	200,000 მან.
16,439 —	— 11 —	75,000 —
13,921 —	— 28 —	40,000 —
11,309 —	— 25 —	25,000 —
13,495 —	—36	— — 10,000 —
13,875 —	—26	
2,796 —	— 3	
505	48	— — 8,000
3,453	23	
17,607	42	
11,839	22	
4,056	8	

ნ ა რ ე ვ ი

ლონდონში დაქორწილდენ ამას წინეთ ორი ახირებული დიდი ტანის სულიერები. ქაცი ამერიკელი იყო და ქალი შოტლანდიელი; ორივე ისეთი შესანიშნავი ტანისანი არიან თურმე, რომ ისინი დაიარებიან სხვა და სხვა ქვეყნებში და თავის თავის ჩვენებისთვის ფულებს იღებენ. ქალის მეგობრათ ქორწინების დროს იყო ერთი იმაზე უფრო ახირებული ქალი, რომელსაც „ორ-თავიან ბულბულს“ ეძახიან და რომელსაც მართლა ორი თავი, ოთხი ხელი და ოთხი ფეხი აქვს თურმე. ქორწინების წესი აასრულა ავრეთვე შოტლანდიელმა მღვდელმა, რომელიც ერთი საჟენია თურმე სიმაღლით.

* * *

საფრანგეთის „ოფიციალურს ბაზეთში“ გამოცხადებულია იმ უცხო ქვეყნელი ტყვეების ანგარიში, რომელნიც პარიჟის არეულობის დროს დაუჭერიათ. ამ ანგარიშიდამ ეტყობულობთ, რომ ქომუნაში მონაწილეობა მიუღიათ: 300 პოლშელს, 250-იტალიელს, 50 რუსს, 50 ვენგრიელს, 200 ნემეცს და რამდენსამე ესპანიელს. შესანიშნავიაო, უმატებს ზემოხსენებული გაზეთი, რომ ყველა ნემცებს ქომუნის მმართებლობაში უმთავრესი ადგილები ეჭირათო.

* * *

თუმც პარიჟის არეულება კარგა ხანია გათავდა, თუმც ვერსალის მმართებლობამ რამოდენიმე ათი ათასი ქომუნის მომხრეები დაიჭირა და სასტიკათ სჯის მათ, მაგრამ ახლაც კიდევ გაცხარებულათ ეძებენ თურმე პოლიციის ჩინოვნიკები — იქნება ვინმე ვნახოთ დასაჭერიო, სახლს არ უშვებენ, რომ არ გასჩხრეკონ. ამას წინეთ ვიღაცას მოუტყუებია პოლიცია, უთქვამს, რომ ამა და ამ ქუჩაზე, ამა და ამ სახლში ერთი კომუნის მოთავეთაგანი იმალებაო. იმ წამსვე პოლიციას აგენტები გაუგზავნია; რამდენიმე კაცი შემორტყმია სახლს გარშემო რომ არ გაგვექცესო და ოთხი თუ ხუთი შიგნით შესულან დასაჭერათ. მისდგომიან დანიშნულ ოთახს, უცრათ გაუღიათ კარები, და დასცემიან თავზე ერთ კაცს, რომელსაც ტკბილათ ეძიძა თურმე ლოგინში და პოლიციაში წათრევას უპირებდენ. მაგრამ წარმოიდგინეთ, ეს კაცი, ქომუნის მოთავე კი არა, თვითონ პოლიციაში მოსამსახურე პირი ამოჩნდა რომელმანც, ერთი დავიდარაბის და ვაი-ვაგლახის შემდეგ, დაიხსნა თავი ამ გარდამეტებით ერთგულის თანამოძმეებისაგან.

* * *

მკითხველმა იცის, რომ ერთ დროს ყოვლის შემძლებელი იმპერატორი ნაპოლეონი ახლა ინგლისის ერთს პატარა ქალაქში (ქენსინგტონში) სცხოვრებს. მაგრამ მოსვენებას არც იქ აძლევენ იმას: დღე არ გავა, რომ რამდენიმე თხოვნა არ მოუვიდეს, რომელშიაც ადრინდელი იმის მომხრეები ცოტაოდენ ხელის მოწყობას არ სთხოვენ. ყველა ამგვარ თხოვნაზე ნაპოლეონი უარს ეუბნება ყველას. თვითონ ნაპოლეონი ძალიან მოწყენილი და დაცემულია თურმე, ის იშვიათად აღებს პირის პოლიტიკაზე და თავის მდგომარეობაზე; ლაპარაკმა, ეტყობა, თავი მოაბეზრა. მაგრამ იმის მეუღლე, ეგენი, მოსვენებას არ აძლევს თურმე; მუდამ ახალ-ახალ პლანებზე და საფრანგეთში დაბურბონების საშუალებებზე ეჩურჩულება თურმე და ამხნევებს, იმედს ნუ დაჰკარგავო. ამას წინეთ ის ლონდონის გამოფენაზე ყოფილიყო და ძალიან მოსწონებია ერთი ბაშინა, რომელიც უმელნოთ ბეჭდავს ვიზიტის კარტოჩკებს. მემამინეს იმის თვილის წინ დებეჭდა ორი სიტყვა: „იმპერატორი ნაპოლეონი“. ნაპოლეონმა მწარე ღიმილით დაუმატა თურმე ამ სიტყვებს „გადამდგარიო“ და წავიდა.

* * *

განცხადება საქართველო

პირველი რეული

თხზულება დიმიტრი ბაქრაძისა.

კავკაზია.

I. საზოგადო მიმოხილვა.— უძველესს ქვეყნის ისტორიათ ირიცხებიან გეოლოგია და ენები. რას გვიამბობს გეოლოგია.—ენებით ვიცით, რომ კაცობრიობის წიაპარნი გაჩენილან საშუალო აზიაში და იქიდამ გავრცელებულან ქვეყნის პირზე.—სულ ძველად მჭიდროდ დამყარებულს საზოგადოებას ვპოულობთ ფინიკიაში და ეგვიპტეში.

II. მცირე აზია.—რა მნიშვნელობა აქვს მცირე აზიას ჩვენი ისტორიისთვის.—სულ ძველად მცირეაზიაში ვპოულობთ სვიტებს და არიელებს.—მოკლე ცნობა ამ ტომებზე. მცირე აზიის არიელებთ შორის შეინიშნებიან სომხებიც და ქართველებიც. ჰეროდოტე.—ჰეროდოტეს სიტყვით ჩვენი მხარე.—ქოლხიდელნი.

III. კავკაზია.—იმისი გეოლოგიური ისტორია.—სხვა და სხვა თქმულება წარლვნაზე.—ეს თქმულება გვიჩვენებს უძველესს გეოლოგიურს მოვლენას.— საიდამ წარმოსდგა ლექსი „კავკაზია.“—ამ ლექსის ისტორია.

IV. ბერძნების კოლონიები შავი-ზღვის პირად.—სტრაბონი.— როგორ გამოგვიხატავს სტრაბონი კავკაზიის ადგილებს და ტომებს.—სტრაბონის იბერია და ალბანია.—ქსენოფონტეს სურათით მესხეთი.

V. უძველესს უცხო-ტომთ კვალი კავკაზიაში.—ამ კვალს ვპოულობთ აქაურს ენებში, სხვა და სხვ, გეოგრაფიულს სახელწოდებებში, სარწმუნოებებში, ზნეობაში და ყოფა—ცხოვრებაში.

ისყიდება: თ ბ ი ლ ი ს ი, მელიქიშვილისა და ქამპ. სტამბაში.

ბ ო რ ი, უეზდის სასწავლებელში,

უ. ხიტარა-შვილისას.

ქ უ თ ა ი ს ი, სასულიერო სასწავლებელში

უ. ქალანდარიშვილისას.

ფასი წიგნისა გაუგზავნელად, თფილისში 50 კოპ., გაგზავნით, თფილისს გარეთ 60 კოპ.

მიღებულია ტფილისში და ისყიდება ალადათოვის და სხვების წიგნების მაღაზიებში:

ჩოლგური

ნიკოლოოზ ბარათაშვილისა, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვა მწერლების ლექსების კრება

ბამოცემული

ქ ი რ ი ლ ე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ი ს ა გ ა ნ

ფასი ერთი მანეთი

ამ დღეებში გამოვიდა, რუსულს ენაზედ, მელიქიშვილის და კომ. სტამბიდამ პატარა წიგნი, სახელათ

თფილისის ბანკის

დანიშნულება

მ. ბ. მ—სა.

შ ი ნ ა ა რ ს ი: I. ადგილობრივის ორგანის, „კავკაზის“, მონაწილეობის მიღება საზოგადო საქმეებში.

II. ამ ბროშურის დანიშნულება. ფულების საქმე თფილისის გუბერნიაში.

III. ბანკის დაწესებისაგან კრედიტის მიმართულების მოთხოვნილება.

IV. პრაქტიკული მხარე თფილისის ბანკისა კრედიტის დასაკმაყოფილებლათ.

V. თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის პროექტის ხასიათი.

VI. წერილმანი შენიშვნები თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის შესახებ.

VII. დასკვნა.

ფასი—40 კაპ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Іюля, 1871 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.